საქართველოს მთავრობის

დადგენილება №18

2007 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ თანდართული დებულება.

1[1]. დამტკიცდეს №1 და №2 დანართები თანდართული რედაქციით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 27.01.2012წ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 31 მაისის №96 დადგენილება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის ან ფაუნის სახეობათა წარმომადგენლის (წარმომადგენლების) იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი

დებულება
„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს.

2. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ დებულებით, რეგულირდება კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 2. ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური).

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 04.04.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №354 - ვებგვერდი, 28.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 27.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 3. ნებართვის გაცემის საფუძველი

ნებართვა გაიცემა:

ა) კონვენციის I დანართში შეტანილ სახეობათა ნიმუშების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციისათვის;

ბ) კონვენციის II დანართში შეტანილ სახეობათა ექსპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციისათვის;

გ) კონვენციის III დანართში შეტანილ სახეობათა ნიმუშების რეექსპორტისათვის.

მუხლი 4. ნებართვის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

1. ნებართვის გაცემისათვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს

ელექტრონული ფორმით. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25ე მუხლით დადგენილი წესით.

2. განცხადება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშების (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელებას (ქართული და/ან სამეცნიერო სახელწოდება), რაოდენობას, აღწერას;

ბ) სახეობათა ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის მიზანს (კომერციული, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისათვის, ცირკისა და მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო, სანადირო ტროფეი, კერძო საკუთრება, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ბუნებაში რეინტროდუქციისათვის/ ინტროდუქციისათვის, ხელოვნურად მოშენებისათვის /ტყვეობაში გამრავლებისათვის);

გ) ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროსა და დროს;

$გ^{1}$) ექსპორტიორისა და იმპორტიორის რეკვიზიტებს.

დ) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის შესახებ განცხადება, გარდა ამ პუნქტში აღნიშნულისა, დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

დ.ა) ყოველწლიურად დაგეგმილი მოსაპოვებელი თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების რაოდენობას;

დ.ბ) ნაკვეთზე არსებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების სავარაუდო რაოდენობას;

დ.გ) ნაკვეთის მართვის ღონისძიებებს;

დ.დ) ინფორმაციას, როდის იქნა პირველად გაშენებული თეთრყვავილას ბოლქვები ან/და ყოჩივარდას გორგლები მოცემულ ნაკვეთზე;

დ.ე) ინფორმაციას, თუ რა იყო წყარო პირველად გაშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლებისა;

დ.ვ) ინფორმაციას, თუ როდის იქნა უკანასკნელად დარგული თეთრყვავილას ბოლქვები ან/და ყოჩივარდას გორგლები ამ ნაკვეთზე და რა იყო მათი წყარო.

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ნებართვის მისაღებად წარსადგენ განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახეობათა ნიმუშების ექსპორტის შემთხვევაში – კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის შემთხვევაში – იმპორტიორი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იმპორტის ნებართვა;

ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის შესახებ განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ბ.ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ბ.ბ) სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების საერთო რაოდენობას (თეთრყვავილას (Galanthus wornowii) საექსპორტო ზომის ბოლქვების მარაგის დადგენის მიზნით ხელოვნური მოშენების ნაკვეთი უნდა დანიმუშდეს $0.25მ^2$ ფართობის კვადრატის რანდომული (შემთხვევითი) გადაგდებით 20-ჯერ ნაკვეთზე არსებულ თეთრყვავილას პლანტაციაში. თითოეულ დანიმუშების კვადრატში უნდა დაითვალოს თეთრყვავილას ღეროების რაოდენობა (ღეროების ჩახმობის შემთხვევაში – ერთ ღეროდ უნდა ჩაითვალოს ბოლქვიდან ამოზრდილი ორი ფოთოლი); 20-ვე კვადრატის დანიმუშების შემდგომ უნდა გამოითვალოს საშუალო მაჩვენებელი ფართობის ერთეულისთვის (მაგ., $02.5მ^2$ ან $1მ^2$), რომელიც უნდა ექსტრაპოლირდეს თეთრყვავილას პლანტაციით დაფარულ მთლიან ფართობზე, რის შედეგადაც გამოითვლება თეთრყვავილას ღეროების სიმჭიდროვე მოცემულ ხელოვნური მოშენების ნაკვეთში. მიჩნეულია, რომ თეთრყვავილას ორ ღეროზე საშუალოდ ერთი ბოლქვია განვითარებული, ხოლო დანიმუშების კვადრატში ამ გზით გამოთვლილი ბოლქვების ნახევარი საექსპორტო ზომისაა. ამ დაშვებების საფუძველზე უნდა გაანგარიშდეს საექსპორტო ბოლქვების რეალურთან მიახლოებითი მარაგი ხელოვნური მოშენების ნაკვეთებზე), საექსპორტო რაოდენობას, მოშენების ხანგრძლივობას, სასაქონლო ბოლქვების/გორგლების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს ნაკვეთიდან ყოველწლიურად, დასკვნის მოქმედების ვადას. სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნის გაცემისას ნაკვეთზე არსებული ბოლქვების/გორგლების და საექსპორტოდ დაგეგმილი ბოლქვების/გორგლების რაოდენობათა თანაფარდობა უნდა იყოს ისეთი, რომ ნაკვეთზე მუდმივად ხდებოდეს მშობლიური თაობის იმ რაოდენობის შენარჩუნება, რაც აუცილებელია ყოველწლიურად სასაქონლო ზომის ექსპორტისათვის დაგეგმილი ოდენობის მისაღებად, რათა გამოირიცხოს ნაკვეთზე ბოლქვების/გორგლების შემდგომი შემატების საჭიროება. დადებითი დასკვნა შეიძლება გაიცეს არა უმეტეს 3 წლის ვადით. დასკვნის გაცემისათვის საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

გ) სახეობათა ნიმუშ(ებ)ის იმპორტის შემთხვევაში – წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ნიმუშის წარმოშობის წყარო და იმპორტის მიზანი შესაბამისობაშია კონვენციის მოთხოვნებთან, ხოლო ცოცხალი ნიმუშის იმპორტის შემთხვევაში – ასევე ნიმუშის შენახვისა და

მოვლის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) რეექსპორტის შემთხვევაში:

დ.ა) ექსპორტიორი ან ბოლო რეექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ნებართვა ან სერტიფიკატი;

დ.ბ) კონვენციის I დანართში შეტანილ სახეობათა ცოცხალი ნიმუშების შემთხვევაში – იმპორტის ქვეყნის მიერ გაცემული იმპორტის ნებართვა;

ე) ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევაში – ნიმუშის შენახვისა და მოვლისათვის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. თუ ნებართვის გაცემა ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ, ნებართვის აღება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №354 - ვებგვერდი, 28.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 27.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №411 – ვებგვერდი, 02.10.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 5. ნებართვის გაცემის განსაკუთრებული პირობები

1. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის შემთხვევაში:

ა) ექსპორტის ნებართვა გაიცემა, თუ სამეცნიერო ორგანოს გამოაქვს დასკვნა, რომ ამგვარი ექსპორტი არ შეუქმნის გადაშენების საფრთხეს მოცემულ სახეობას;

ბ) იმპორტის ნებართვა გაიცემა, თუ:

ბ.ა) სამეცნიერო ორგანოს გამოაქვს დასკვნა, რომ ამგვარი იმპორტი არ შეუქმნის გადაშენების საფრთხეს მოცემულ სახეობას;

ბ.ბ) თუ ნიმუში არ იქნება გამოყენებული უპირატესად კომერციული მიზნებისათვის;

გ) ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა გაიცემა, თუ სამეცნიერო ორგანოს გამოაქვს დასკვნა, რომ ამგვარი ინტროდუქცია არ უქმნის გადაშენების საფრთხეს მოცემულ სახეობას.

2. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის შემთხვევაში (გარდა თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების კომერციული მიზნით ექსპორტისა):

ა) ექსპორტის ნებართვა გაიცემა, თუ სამეცნიერო ორგანოს გამო აქვს დასკვნა, რომ ამგვარი ექსპორტი არ შეუქმნის გადაშენების საფრთხეს მოცემულ სახეობას;

ბ) ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა გაიცემა, თუ სამეცნიერო ორგანოს გამოაქვს დასკვნა, რომ ამგვარი ინტროდუქცია არ უქმნის გადაშენების საფრთხეს მოცემულ სახეობას.

3. თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების კომერციული მიზნით ექსპორტისას ნებართვა გაიცემა:

ა) შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე (რომლის მოქმედების ვადა არ არის გასული);

ბ) სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) იმ პირის (ან მისი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე, რომლის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებულია თეთრყვავილას ბოლქვები ან/და ყოჩივარდას გორგლები.

4. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობებიდან წარმოებული ხიზილალის ექსპორტის ნებართვა გაიცემა მხოლოდ კონვენციის სამდივნოს ხიზილალის ექსპორტიორი საწარმოების რეესტრში დარეგისტრირებულ ხიზილალის მწარმოებელ საწარმოებზე.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 5[1]. ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს რეგისტრაცია

1. სამინისტრო აწარმოებს ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრს (შემდგომში - რეესტრი), რომლის წარმოების წესიც განისაზღვრება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

2. რეესტრში საწარმოს დარეგისტრირებით დაინტერესებულმა პირმა სამინისტროში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ან ინდივიდუალურმა მეწარმემ - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო ფიზიკურმა პირმა - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები;

გ) ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს საწარმოს სტრუქტურის, არსებული ან დაგეგმილი ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური პროცესის დეტალურ აღწერას (ხიზილალის გამოსავლიანობის მითითებით). საწარმოს მართვის გეგმა წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

დ) მოქმედი ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს შემთხვევაში - ხიზილალის მწარმოებელი მასალის (ზუთხი) საქართველოში იმპორტის განხორციელებისას გამოყენებული CITES-ის ნებართვა, რომელიც გაცემულია ექსპორტის ქვეყნის CITES-ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და დამოწმებულია ექსპორტის ქვეყნის საბაჟო სამსახურის მიერ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში,

სამინისტროს 15 სამუშაო დღის ვადაში შეაქვს რეესტრში მონაცემები ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს შესახებ და ანიჭებს მას ინდივიდუალურ კოდს.

4. ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, საწარმოს შესახებ ინფორმაციას, საწარმოსთვის მინიჭებულ კოდთან ერთად, სამინისტრო 3 დღის ვადაში უგზავნის კონვენციის სამდივნოს.

5. ხიზილალის მწარმოებელი საწარმო კონვენციის სამდივნოში დარეგისტრირებულად ითვლება კონვენციის სამდივნოს მიერ რეგისტრაციის დადასტურებისა და შესაბამისი ინფორმაციის კონვენციის სამდივნოს ოფიციალურ ვებგვერდზე (cites.org) არსებულ ხიზილალის ექსპორტიორი საწარმოების რეესტრში განთავსების შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 6. ნებართვის გაცემის წესი

1. ნებართვის გაცემის ზოგადი წესი რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო ორგანო განსაზღვრავს კონვენციის დანართებში შეტანილ სახეობათა ნიმუშების წლიურ საექსპორტო კვოტას, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

3. ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით იქმნება მინისტრის სათათბირო საბჭო - სამეცნიერო ორგანო.

4. სამეცნიერო ორგანოს მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით.

5. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას იღებს სამეცნიერო ორგანო ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში „ერთი სარკმლის“ პრინციპის საფუძველზე.

6. შესაძლებელია ნებართვის გამცემმა ორგანოებმა და სამეცნიერო ორგანომ დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლა განა ხორციელონ ერთიან ელექტრონულ ბაზაში.

7. სამეცნიერო ორგანო არ მონაწილეობს:

ა) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის ნებართვის გაცემის პროცესში;

ბ) კონვენციის სამდივნოში დარეგისტრირებული ხიზილალის მწარმოებელი საწარმოსთვის ხიზილალის ექსპორტის ნებართვის გაცემის პროცესში.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №147-ვებგვერდი, 04.04.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 27.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 7. ნებართვის მოქმედების ვადა

1. ნებართვით სარგებლობა ვადიანია.

2. სახეობათა ნიმუშების ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვები ძალაშია გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში.

3. სახეობათა ნიმუშების იმპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა ძალაშია გაცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №411 – ვებგვერდი, 02.10.2012წ.

მუხლი 8. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ;

ბ) ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სანებართვო პირობებს;

გ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

2. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის ნებართვა არ გაიცემა, თუ:

ა) ნაკვეთზე თეთრყვავილა ან/და ყოჩივარდა არ არის გაშენებული განცხადების წარდგენამდე 5 წლით ადრე მაინც;

ბ) სასაქონლო ზომის ბოლქვების/გორგლების სრული ოდენობით მოპოვების შემთხვევაში – აღნიშნულ ნაკვეთზე ბოლქვების/გორგლების შემდგომ მოპოვებამდე არ არის გასული 3 წელი მაინც;

გ) არ არის წარმოდგენილი:

გ.ა) სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნა;

გ.ბ) სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწის ნაკვეთის სპეციალურ რეესტრში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შინაარსი განისაზღვრება სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დე-

ბულებით;

გ.გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.

მუხლი 9. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობანი

ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 9[1]. ნებართვის მფლობელის ვალდებულებანი

კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვება განახორციელოს მხოლოდ ნებართვაში მითითებული მიწის ნაკვეთიდან;

ბ) ნებართვის აღებისა და თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვების შემდეგ, არა უგვიანეს მოპოვების წლის პირველი ოქტომბრისა, ნებართვის გამცემ ორგანოში წარადგინოს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურება ნაკვეთიდან აღნიშნული სახეობების მოპოვების ფაქტი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 9[2]. კონვენციის სამდივნოში დარეგისტრირებული ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს ვალდებულებები

კონვენციის სამდივნოს ხიზილალის ექსპორტიორი საწარმოების რეესტრში დარეგისტრირებული ხიზილალის მწარმოებელი საწარმო ვალდებულია:

ა) მწარმოებელი მასალის იმპორტის განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სამინისტროში წარადგინოს ექსპორტის ქვეყნის CITES-ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ექსპორტის ნებართვის ორიგინალი, დამოწმებული ექსპორტის ქვეყნის საბაჟო სამსახურის მიერ;

ბ) სამინისტროში წარადგინოს დეტალური ანგარიში კონვენციის დანართებში შეტანილ სახეობებებთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების (ხიზილალის წარმოება/იმპორტი/ექსპორტი/შიდა ბაზარზე რეალიზაცია; ხიზილალის წარმოების შემდეგ დარჩენილი ხორცის რეალიზაცია) შესახებ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრამდე;

გ) განახორციელოს მხოლოდ კონვენციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მარკირებული ხიზილალის ექსპორტი;

დ) საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს განხორციელებული ცვლილების შესახებ;

ე) მწარმოებელი მასალის მოპოვება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობისა და კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №119 - ვებგვერდი, 23.03.2015წ.

მუხლი 10. სანებართვო მოწმობის ფორმა

1. ნებართვას აქვს ინდივიდუალური ნომერი, რომელიც სამინისტროს მიერ გასაცემ ფორმაზე იწყება ციფრით „1“, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ გასაცემ ფორმაზე – ციფრით „2“.

2. ნებართვა გაიცემა 4 ეგზემპლარად (ორიგინალი და 3 დამოწმებული ასლი), რომელთაგან ერთი ასლი რჩება გამცემ ორგანოში, ხოლო ორიგინალი და ორი ასლი გადაეცემა ნებართვის მაძიებელს საბაჟო გამშვებ პუნქტში წარსადგენად, სადაც საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი სახეობათა ნიმუშების ექსპორტისას/რეექსპორტისას ახორციელებს ნებართვის ეგზემპლარების დამოწმებას ხელმოწერითა და პირადნომრიანი ბეჭდით. დამოწმებული ნებართვის ერთი ასლი რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში, ხოლო ნებართვის ორიგინალი და ასლი წარედგინება იმპორტის ქვეყნის საბაჟოს.

3. კონვენციის სამდივნოს სამინისტროს მიერ წინასწარ ეგზავნება ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალური ბეჭდის ანაბეჭდი და ნებართვაზე ხელმომწერი პასუხისმგებელი პირების სახელები, გვარები და მათი ხელმოწერის ნიმუშები.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №147-ვებგვერდი, 04.04.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება № 25 - ვებგვერდი, 27.01.2012 წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №411 – ვებგვერდი, 02.10.2012წ.

მუხლი 11. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმები.

მუხლი 12. ნებართვის გაუქმება და მასში ცვლილებების შეტანა

1. ნებართვის გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. ნებართვის გაუქმების და ცვლილებების შეტანის თაობაზე წერილობით უნდა ეცნობოს ნებართვის მფლობელს, კონვენციის სამდივნოსა და კონვენციის შესაბამის წევრ ქვეყანას.

მუხლი 13. სანებართვო მოსაკრებელი

სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა, ბიუჯეტში მისი გადახდის წესი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 14. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 27.01.2012 წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №411 – ვებგვერდი, 02.10.2012წ.

CITES CONVENTION ON INTERNATIONAL TRADE IN ENDANGERED SPECIES OF WILD FAUNA AND FLORA

კოვენანტი გადაუშენებლის საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

ნებართვა № 20 GE
Permit No.
ექსპორტი / EXPORT
რეექსპორტი / RE-EXPORT
იმპორტი / IMPORT
სხვა / OTHER

ორიგინალი
ORIGINAL

2.ძალაშია:
Valid until:

„გადაუშენებლის საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კოვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა
PERMIT TO EXPORT, IMPORT, RE-EXPORT AND INTRODUCTION FROM THE SEA OF THE SPECIES (THEIR PARTS AND DERIVATIVES) INCLUDED IN THE APPENDICES OF THE CONVENTION ON INTERNATIONAL TRADE IN ENDANGERED SPECIES OF WILD FAUNA AND FLORA (CITES)

3. იმპორტიორი (სახელი, გვარი და მისამართი)
Importer (name and address)

3a. იმპორტის ქვეყანა / Country of import

4. ექსპორტიორი / რეექსპორტიორი (სახელი, გვარი, მისამართი, ქვეყანა, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)
Exporter / re-exporter (name, address, country, ID number)

განმცხადებლის ხელმოწერა/Signature of the applicant

5. განსაკუთრებული პირობები / Special conditions:

ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში ნებართვა/სერტიფიკატი ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ ტრანსპორტირების პირობები შეესაბამება CITES-ის „მითითებებს ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირების შესახებ", საჰაერო ტრანსპორტირების დროს - IATA-ს წესებს.
For live animals, this permit or certificate is only valid if the transport conditions conform to the CITES Guidelines for transport or, in the case of air transport, to the IATA Live Animals Regulations.

5a. გადაადგილების მიზანი (იხ. უკანა გვერდი)/Purpose of the transaction (see reverse)

6.

გამცემი ორგანო

Issued by

	7./8. ცხოველის ან მცენარის სამეცნიერო და ქართული სახელწოდება (გვარი, სახეობა) Scientific name (genus and species) and Georgian name of animal or plant	9. ნიშნების აღწერა საიდენტიფიკაციო ნიშნების (ასაკის/სქესის, თუ ცოცხალია) მითითებით Description of specimens, including identifying marks or numbers (age/sex if live)	10. დანართის ნომერი და წყარო (იხ.უკანა გვერდი) Appendix no. and source (see reverse)	11. რაოდენობა (ერთეულის ჩათვლით) Quantity (including unit)	11a. სულ ექსპორტი/კვოტა Total exported / Quota
A	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12.წარმოშობის ქვეყანა* Country of origin* / ნებართვა № Permit no. / თარიღი Date		12a. ბოლო რეექსპორტის ქვეყანა / Country of last re-export / სერტიფიკატი № Certificate no. / თარიღი Date		12b. ფერმის/საწყობის №** ან ბუნების თარიღი***/ No. of the operation** or date of acquisition ***
B	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12.წარმოშობის ქვეყანა* Country of origin* / ნებართვა № Permit no. / თარიღი Date		12a. ბოლო რეექსპორტის ქვეყანა / Country of last re-export / სერტიფიკატი № Certificate no. / თარიღი Date		12b. ფერმის/საწყობის №** ან ბუნების თარიღი***/ No. of the operation** or date of acquisition ***
C	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12.წარმოშობის ქვეყანა* Country of origin* / ნებართვა № Permit no. / თარიღი Date		12a. ბოლო რეექსპორტის ქვეყანა / Country of last re-export / სერტიფიკატი № Certificate no. / თარიღი Date		12b. ფერმის/საწყობის №** ან ბუნების თარიღი***/ No. of the operation** or date of acquisition ***

* ქვეყანა, სადაც ნიმუშები ამოიღეს ბუნებიდან, გაამრავლეს ტყვეობაში ან მოაშენეს ხელოვნურად (მხოლოდ რეექსპორტის შემთხვევაში)
Country in which the specimens were taken from the wild, bred in captivity or artificially propagated (only in case of re-export)

** მხოლოდ კომერციული მიზნებისათვის ტყვეობაში გამრავლებული ან ხელოვნურად მოშენებული I დანართის სახეობათა ნიმუშებისათვის
only for specimens of Appendix-I species bred in captivity or artificially propagated for commercial purposes

*** პრეკონვენციული ნიმუშებისათვის
For pre-Convention specimens

13. ნებართვა გაცემულია:
This permit is issued by:
საქართველო
Georgia

თარიღი / Date

ხელმოწერა და ოფიციალური ბეჭედი / signature and official seal

14. ექსპორტის/რეექსპორტის დადასტურება:
Export/re-export endorsement:

ივსება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას
15. ზედდებულის/ავიატვირთის ზედდებულის № / Bill of Lading/Air waybill number:

ბლოკი Block	რაოდენობა Quantity
A	
B	
C	

საბაჟო გამშვები პუნქტი / Customs crossing point: თარიღი/Date ხელმოწერა /Signature ოფიციალური ბეჭედი/official seal

CITES ნებართვა №
CITES PERMIT NO

დამკვეთი: ----------, დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

Explanations /განმარტებები:

Purpose of the transaction / გადაადგილების მიზანი	Source / წყარო
T – for commercial / კომერციული მიზნით; Z – for zoos / ზოოპარკებისათვის; G – for Botalical Gardens / ბოტანიკური ბაღებისათვის; Q – for circuses and traveling exhibitions / ცირკებისა და მოძრავი გამოფენებისათვის; S – for scientific purposes / სამეცნიერო მიზნებისათვის; H – for hunting trophies / სანადირო ტროფეისთვის; P – for personal / პირადი საჭიროებისათვის; M – for medical / სამედიცინო დანიშნულებისათვის; E – for education / საგანმანათლებლო მიზნით; N – for reintroduction or introduction into the wild / ბუნებაში	W Specimens taken from the wild / ბუნებაში მოპოვებული ნიმუშები; R Specimens originating from a ranching operation / ფერმერულ მეურნეობებში მიღებული ნიმუშები; D Appendix-I Animals bred in captivity for commercial purposes and Appendix-I plants artificially propagated for commercial purposes, as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 4, of the convention / I დანართის კომერციული მიზნით ტყვეობაში გამრავლებული ცხოველები და ხელოვნურად მოშენებული მცენარეები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე

რეინტროდუქციის ან ინტროდუქციისათვის; B – for breeding in captivity or artificial propagation / ტყვეობაში გამრავლების ან ხელოვნურად მოშენებისათვის; L – for law enforcement/judicial/forensic / კანონაღსრულებისათვის.	მუხლის მეოთხე პარაგრაფის შესაბამისად; A Plants that are artificially propagated in accordance with the Resolution Conf 11.11 (Rev. CoP14), paragraph a), as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 5 (specimens of species included in Appendix I that have been propagated artificially for non-commercial purposes and specimens of species included in Appendicies II and III) 11.11 რეზოლუციის შესაბამისად ხელოვნურად მოშენებული მცენარეები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე მუხლის მეხუთე პარაგრაფის შესაბამისად (I დანართის არაკომერციული მიზნით და II და III დანართების სახეობების ხელოვნურად მოშენებული ნიმუშები); C Animals bred in captivity in accordance with Resolution Conf. 10.16 (Rev.), as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 5 (specimens of species included in Appendix I that have been bred in captivity for non-commercial purposes and specimens of species included in Appendices II and III / 10.16 რეზოლუციის შესაბამისად ტყვეობაში გამრავლებული ცხოველები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე მუხლის მეხუთე პარაგრაფის შესაბამისად (I დანართის არაკომერციული მიზნით ტყვეობაში გამრავლებული და II და III დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშები); F Animals born in captivity (F_1, or subsequent generations) that do not fulfill the definition of "bred in captivity" in Resolution Conf. 10.16 (Rev.), as well as parts and derivatives thereof / ტყვეობაში დაბადებული ცხოველები (F_1 ან მომდევნო თაობები), რომლებიც არ შეესაბამებიან 10.16 რეზოლუციის განსაზღვრებას - „ტყვეობაში გამრავლებული", ასევე მათი ნაწილები და დერივატები; U Source unknown (must be justified) / წყარო უცნობია (საჭიროა დასაბუთება); I Confiscated or seized specimens / კონფისკებული, ჩამორთმეული ნიმუშები; O Pre-Convention (May be used with other source codes) / პრეკონვენციური ნიმუშები. ამ კოდის გამოყენება შესაძლებელია სხვა წყაროების კოდებთან ერთად.

AFTER USE THIS DOCUMENT SHOULD BE RETURNED TO A MANAGEMENT AUTHORITY OF THE IMPORTING COUNTRY

გამოყენების შემდეგ ეს დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს იმპორტის ქვეყნის ადმინისტრაციულ ორგანოს

CITES CONVENTION ON INTERNATIONAL TRADE IN ENDANGERED SPECIES OF WILD FAUNA AND FLORA

კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

ნებართვა № 20 GE
Permit No.
ექსპორტი / EXPORT
რეექსპორტი / RE-EXPORT
იმპორტი / IMPORT
სხვა / OTHER

ასლი
COPY

2.ძალაშია:
Valid until:

„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა
PERMIT TO EXPORT, IMPORT, RE-EXPORT AND INTRODUCTION FROM THE SEA OF THE SPECIES (THEIR PARTS AND DERIVATIVES) INCLUDED IN THE APPENDICES OF THE CONVENTION ON INTERNATIONAL TRADE IN ENDANGERED SPECIES OF WILD FAUNA AND FLORA (CITES)

3. იმპორტიორი (სახელი, გვარი და მისამართი)
Importer (name and address)

3a. იმპორტის ქვეყანა / Country of import

4. ექსპორტიორი / რეექსპორტიორი (სახელი, გვარი, მისამართი, ქვეყანა, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)
Exporter / re-exporter (name, address, country, ID number)

განმცხადებლის ხელმოწერა/Signature of the applicant

5. განსაკუთრებული პირობები / Special conditions:

ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში ნებართვა/სერტიფიკატი ძალაშია მხოლოდ მაშინ, როცა ტრანსპორტირების პირობები შეესაბამება CITES-ის „მითითებებს ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირების შესახებ", საჰაერო ტრანსპორტირების დროს - IATA-ს წესებს.
For live animals, this permit or certificate is only valid if the transport conditions conform to the CITES Guidelines for transport or, in the case of air transport, to the IATA Live Animals Regulations.

5a. გადაადგილების მიზანი (იხ. უკანა გვერდი)/Purpose of the transaction (see reverse)

6.

გაცემი ორგანო

issued by

	7./8. Scientific name (genus and species) and Georgian name of animal or plant	9. Description of specimens, including identifying marks or numbers (age/sex if live)	10. Appendix no. and source (see reverse)	11. Quantity (including unit)	11a. Total exported / Quota
A	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12. Country of origin* / Permit no. / Date		12a. Country of last re-export / Certificate no. / Date		12b. Date of the operation** or date of acquisition***
B	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12. Country of origin* / Permit no. / Date		12a. Country of last re-export / Certificate no. / Date		12b. Date of the operation** or date of acquisition***
C	7./8.	9.	10.	11.	11a.
	12. Country of origin* / Permit no. / Date		12a. Country of last re-export / Certificate no. / Date		12b. Date of the operation** or date of acquisition***

* ქვეყანა, სადაც ნიმუშები ამოიღეს ბუნებიდან, გაამრავლეს ტყვეობაში ან მოამუშეს ხელოვნურად (მხოლოდ რეექსპორტის შემთხვევაში)
Country in which the specimens were taken from the wild, bred in captivity or artificially propagated (only in case of re-export)

** მხოლოდ კომერციული მიზნებისათვის ტყვეობაში გამრავლებული ან ხელოვნურად მოშენებული I დანართის სახეობათა ნიმუშებისათვის
only for specimens of Appendix-I species bred in captivity or artificially propagated for commercial purposes

*** პრეკონვენციური ნიმუშებისათვის
For pre- Convention specimens

13. ნებართვა გაცემულია:
This permit is issued by:
საქართველო
Georgia

თარიღი / Date

ხელმოწერა და ოფიციალური ბეჭედი / signature and official seal

14. ექსპორტის/რეექსპორტის დადასტურება:
Export/re-export endorsement:

ივსება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას
15. ზღვდებულის/ავიაგზავნილის ზღვდებულის № / Bill of Lading/Air waybill number:

Block	Quantity
A	
B	
C	

საბაჟო გამშვები პუნქტი / Customs crossing point | თარიღი/Date | ხელმოწერა /Signature | ოფიციალური ბეჭედი/official seal

CITES ნებართვა №
CITES PERMIT NO

დამკვეთი: ----------, დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

Explanations /განმარტებები:

Purpose of the transaction / გადაადგილების მიზანი	Source / წყარო
T – for commercial / კომერციული მიზნით; Z – for zoos / ზოოპარკებისათვის; G – for Botalical Gardens / ბოტანიკური ბაღებისათვის; Q – for circuses and traveling exhibitions / ცირკებისა და მოძრავი გამოფენებისათვის; S – for scientific purposes / საეცნიერო მიზნებისათვის; H – for hunting trophies / სანადირო ტროფეებისათვის; P – for personal / პირადი საჭიროებისათვის; M – for medical / სამედიცინო დანიშნულებისათვის; E – for education / საგანმანათლებლო მიზნით; N – for reintroduction or introduction into the wild / ბუნებაში რეინტროდუქციის ან ინტროდუქციისათვის;	W Specimens taken from the wild / ბუნებაში მოპოვებული ნიმუშები; R Specimens originating from a ranching operation / ფერმერულ მეურნეობებში მიღებული ნიმუშები; D Appendix-I Animals bred in captivity for commercial purposes and Appendix-I plants artificially propagated for commercial purposes, as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 4, of the convention / I დანართის კომერციული მიზნით ტყვეობაში გამრავლებული ცხოველები და ხელოვნურად მოშენებული მცენარეები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე მუხლის მეოთხე პარაგრაფის შესაბამისად;

B – for breeding in captivity or artificial propagation / ტყვეობაში გამრავლების ან ხელოვნურად მოშენებისათვის; L – for law enforcement/judicial/forensic / კანონაღსრულებისთვის.	A Plants that are artificially propagated in accordance with the Resolution Conf 11.11 (Rev. CoP14), paragraph a), as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 5 (specimens of species included in Appendix I that have been propagated artificially for non-commercial purposes and specimens of species included in Appendicies II and III) 11.11 რეზოლუციის შესაბამისად ხელოვნურად მოშენებული მცენარეები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე მუხლის მეხუთე პარაგრაფის შესაბამისად (I დანართის არაკომერციული მიზნით და II და III დანართების სახეობების ხელოვნურად მოშენებული ნიმუშები); C Animals bred in captivity in accordance with Resolution Conf. 10.16 (Rev.), as well as parts and derivatives thereof, exported under the provisions of Article VII, paragraph 5 (specimens of species included in Appendix I that have been bred in captivity for non-commercial purposes and specimens of species included in Appendices II and III / 10.16 რეზოლუციის შესაბამისად ტყვეობაში გამრავლებული ცხოველები, ასევე მათი ნაწილები და დერივატები, რომელთა ექსპორტი ხდება კონვენციის მეშვიდე მუხლის მეხუთე პარაგრაფის შესაბამისად (I დანართის არაკომერციული მიზნით ტყვეობაში გამრავლებული და II და III დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშები); F Animals born in captivity (F_1, or subsequent generations) that do not fulfill the definition of "bred in captivity" in Resolution Conf. 10.16 (Rev.), as well as parts and derivatives thereof / ტყვეობაში დაბადებული ცხოველები (F_1 ან მომდევნო თაობები), რომლებიც არ შეესაბამებიან 10.16 რეზოლუციის განსაზღვრებას - „ტყვეობაში გამრავლებული", ასევე მათი ნაწილები და დერივატები; U Source unknown (must be justified) / წყარო უცნობია (საჭიროა დასაბუთება); I Confiscated or seized specimens / კონფისკებული, ჩამორთმეული ნიმუშები; O Pre-Convention (May be used with other source codes) / პრეკონვენციური ნიმუშები. ამ კოდის გამოყენება შესაძლებელია სხვა წყაროების კოდებთან ერთად.